ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA

EUIPO
EUROPEAN UNION INTELLECTUAL PROPERTY OFFICE

EUGIPP

ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივი პროექტი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ

ideas powered @SCHOOL

ინტელექტუალური საკუთრება (IP) განათლებაში

ინტელექტუალური საკუთრების დღის აქტივობები

სარეგისტრაციო ჯიხური

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და მას ახორციელებს ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყება (EUIPO)

სარეგისტრაციო ჯიხური

აქტივობის შესახებ	როდესაც მოსწავლეები შექმნიან ორიგინალურ ნაწარმოებს – ლექსს, ნახატს, ლოგოს და ა. შ. – ის თავადვე მიაქვთ სარეგისტრაციო ჯიხურში სერტიფიკატის მისაღებად.
ასაკი	დაწყებითი საფეხური
განრიგი	მოქნილი
მიზანი	ამ აქტივობის მიზანია, განუმტკიცოს მოსწავლეებს ინტელექტუალური საკუთრების (IP) ცნებების გაგება - აღქმა იმისა, თუ რა გავლენას ახდენს ის მათ ცხოვრებაზე – როგორც შემქმნელების, ასევე მომხმარებლების როლში ყოფნისას. რეალურ, ცხოვრებიდან აღებულ ამბებზე დაყრდნობით, მოსწავლეებს უჩვენებენ, რა მნიშვნელოვანია ინტელექტუალური საკუთრების უფლებები, რომელთა მოთხოვნაც შეუძლიათ შემოქმედებს, ხელოვანებს, მეცნიერებსა და ა. შ. თავიანთი ნაშრომებისთვის.
სასწავლო შედეგები	მოსწავლეები შეიტყობენ: • რა სახის დაცვას უზრუნველყოფს ინტელექტუალური საკუთრების სხვადასხვა ინსტრუმენტი; • რა როლს თამაშობს ინტელექტუალური საკუთრება მათი, როგორც სკოლის მედია მასალის შემქმნელების, ცხოვრებაში; • რომ საჭიროა, პატივი სცენ სხვის ნაშრომს, რათა, სამაგიეროდ, მათ ნამუშევარსაც სცენ სხვებმა პატივი; • რა ხერხებით შეიძლება ინტელექტუალური საკუთრების დაცვა და როგორ უნდა გამოიყენონ ისინი პრაქტიკაში.
კომპეტენციები	• წიგნიერების კომპეტენცია • კულტურული გაცნობიერებულობისა და გამოხატვის კომპეტენცია • მოქალაქეობის კომპეტენცია • პიროვნული, სოციალური და სწავლის კომპეტენცია
რესურსები	• ინტელექტუალური საკუთრების გზამკვლევი მოსწავლეებისათვის • ინტელექტუალური საკუთრების სპეციალისტები ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული უწყებებიდან • სერტიფიკატები • ინტერნეტზე წვდომა სპეციალისტებისთვის, მაგალითების საჩვენებლად
ინტელექტუალური საკუთრების დღის აქტივობის ნიმუში Ideas Powered @ School მასალიდან	დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს, მათი მასწავლებლების თანხლებით, „დასარეგისტრირებლად“ მოჰქონდათ თავიანთი შემოქ-მედებითი ნამუშევრები (მაგ. სამკერდე ნიშნის დამზადების აქტივობის შედეგი), რომლებშიც სერტიფიკატებს იღებდნენ. ასაკის მიუხედავად, ყველას ცხადად ეტყობოდა აღტაცება და ენთუზიაზმი, რასაც საკუთარი ნამუშევრის დარეგისტრირების ფაქტი ჰგვრიდათ. ამავე დროს, მათ ეძლეოდათ შესაძლებლობა, IP-ის სპეციალისტებისგან ინტელექტუალური საკუთრების ძირითადი პრინციპები ესწავლათ. მოსწავლეებს გააცნეს რეალური შემთხვევები, რომლებიც ცხადყოფდა IP-ის მნიშვნელობას და აჩვენებდა, რატომ არის ამ უფლებების დაცვა მათთვისაც აქტუალური – ამჟამადაც და მომავალშიც.

შენიშვნები აქტივობის ჩასატარებლად

1. ადგილის მომზადება

იპოვეთ შესაფერისი სივრცე, სადაც დადგამთ მაგიდებისა და სკამებს სერტიფიკატების გამცემი მოხალისეებისთვის. შეარჩიეთ საკმარისად ფართო სივრცე – ის მოსწავლეთა მოზრდილ ჯგუფებს უნდა იტევდეს.

2. აქტივობის არსის ახსნა

მოხალისეებმა მოსწავლეებს უნდა გამოჰკითხონ მათი ნამუშევრის შესახებ: რატომ არის ის ორიგინალური, რამდენი ხანი მოანდომეს მის დამზადებას და ა. შ. ასევე, შეიძლება, მოსწავლეებს განემარტოთ, რომ კრეატიულობა და ორიგინალურობა ნამუშევარს განსაკუთრებულ ღირებულებას ანიჭებს.

3. სერტიფიკატის გადაცემა

გადაეცით მოსწავლეებს რეგისტრაციის სერტიფიკატები და აუხსენით, რომ შესაძლებელია კონკრეტული ნამუშევრის დაცვა ისე, რომ მისი გამრავლება ვერ შეძლონ სხვისი შრომის ხარჯზე მოგების ნახვის მსურვლმა ადამიანებმა.

4. ისარგებლეთ მომენტით

დაბოლოს, შეიძლება, მოსწავლეებს სთხოვოთ ნებართვა, სურათი გადაუღოთ მათ გამოგონებას. აუხსენით, რომ თუ ვინმეს ნამუშევრის გამოყენება ან გამრავლება გვინდა, საჭიროა, მათ ნებართვა ვთხოვოთ. ასევე, მნიშვნელოვანია გამოგონების სხვებისთვის გაზიარება, რადგან კარგი იდეების გაზიარებით და ერთად მუშაობით უკეთესი შედეგების მიღებაა შესაძლებელი.


ეს
სანტიფიკატი
ეძლევა
სახელი
კლასი
დარგი
მონაწილეობისთვის
თარიღი

შენიშვნები

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და მასალების ჩამოსატვირთად ეწვიეთ ვებგვერდს: www.ideaspowered.eu
ან გაგზავნეთ წერილი მისამართზე: IPinEducation@euipo.europa.eu

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

EUGIPP
ევროკავშირის და საქართველოს ერთობლივი პროექტი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ

ეროვნული ინტელექტუალური საკუთრების სააგენტო
SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA
www.sakpatenti.gov.ge

ideas powered @SCHOOL

EUIPO
EUROPEAN UNION INTELLECTUAL PROPERTY OFFICE